მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები

მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო მამათის მიმდებარე ტერიტორიაზე 961400 მ3 სასარგებლო წიაღისეულის (ბაზალტის, ანდეზიტ-ბაზალტისა და ტუფის) მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადებაზე

11 ნოემბერი, 2019

2019 წლის 7 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო მამათის მიმდებარე ტერიტორიაზე 961400 მ3 სასარგებლო წიაღისეულის (ბაზალტის, ანდეზიტ-ბაზალტისა და ტუფის) მოპოვების პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ სოფ. ქვემო მამათის მიმდებარე ტერიტორიაზე 961400 მ3 სასარგებლო წიაღისეულის (ბაზალტის, ანდეზიტ-ბაზალტისა და ტუფის) მოპოვების პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას შემდეგი გარემოებების გამო:

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39ბ, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

1. კომენტირებისათვის გამოქვეყნებული წიაღის ეროვნული სააგენტოს სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით[1] გათვალისწინებული ინფორმაცია. კერძოდ, არ არის მოცემული გადაწყვეტილების მიღებისათვის მთავარი მახასიათებლის - **შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ** ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადებაში მხოლოდ აღნიშნულია: „სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 200-400 მ. სიმაღლეზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო მამათის მიმდებარე ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხემცენარეები. რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ **არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე**“.

---

[1] „4. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს:
ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ“.

ვინაიდან, წიაღის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, ამ ეტაპზე მათთვის უცნობია ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაცია, მნიშვნელოვანია ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც სწორედ ამ ტიპის ინფორმაციის მოგროვებას, რისკების განსაზღვრას/შეფასებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვას ემსახურება.

2. საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ობიექტის კოორდინატებით, რაც დაინტერესებული საზოგადოებისათვის ნაკლებად ინფორმაციულია.

სკრინინგის განცხადებას ერთვის გეოსაინფორმაციო პაკეტი, რომლიც ასევე არ მოიცავს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას. გეოსაინფორმაციო პაკეტით წარმოდგენილია „დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან“ „მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან/სანაპირო ზოლიდან“; ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტის გრაფაში მხოლოდ აღნიშნულია, რომ ეს არის სოფელი ქვემო მამათი. **არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის არეალიდან სახლების და/ან სხვა ტიპის ნაგებობების სიახლოვის და სოფლის სარგებლობაში არსებული საძოვრების და/ან სახნავ-სათესი მიწების სიახლოვის შესახებ.**

3. გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის **მთლიანი ტერიტორია დაფარულია მრავალწლიანი ხეებით და ბუჩქებით.** თუმცა, სკრინინგის განცხადებაში წიაღის ეროვნული სააგენტო არ უთითებს ტერიტორიის ხე-მცენარეებისგან გათავისუფლების საჭიროებაზე და ამ პროცესით გამოწვეულ გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებაზე.

4. გეოსაინფორმაციო პაკეტის „დასკვნებისა და რეკომენდაციების“ თანახმად, „სალიცენზიო ობიექტზე დასახლებული ტერიტორიის (200-210მ) და წყაროების გამოსავლების (90-100მ-ში სადაც განლაგებულია პოლიეთილენის მილები ადგილობრივების თქმით) სიახლოვის გამო უნდა აიკრძალოს ბურღვა აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება. სალიცენზიო ობიექტიდან - 160-165 მ-ში ფიქსირდება დაკაპტაჟებული წყაროს გამოსავალი (ბეტონის ავზი), რომლითაც სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა, ამიტომ წიაღისეულის მოპოვებამდე ზემოაღნიშნული საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან“. თუკი, უახლოესი სახლი სალიცენზიო ტერიტორიიდან 200მეტრით არის დაშორებული და წყაროების გამოსავლები 90-100მ-ში, მხოლოდ **ბურღვა აფეთქებითი სამუშაოების აკრძალვა ვერ უზრუნველყოფს მოპოვების უარყოფით ზემოქმედების თავიდან არიდებას/ან შემსუბუქებას.** საკითხი საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას.

5. გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, გეოლოგიური ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია 1978 და1983 წელს მომზადებული გეოლოგიური ანგარიშები - **რაც ადასტურებს საკითხის სრულფასოვნად შესწავლის საჭიროებას.**

6. არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაწილი, რომელის საფუძველზეც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამინისტრომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. კერძოდ არ არის წარმოდგენილი:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;

ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;

ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;

ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;

ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

ბ.ე) მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;

ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;

გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:

- გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.